



სახელმწიფო არქივების ღიაობა კორონავირუსის პანდემიის პირობებში ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და აღმოსავლეთის ბლკის ქვეყნებში

2020 წლის მარტი-სექტემბრის პერიოდი

**OPEN SOCIETY
FOUNDATIONS**



**ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი**

მასალის გამოქვეყნება დააფინანსა "ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდმა" (OSI), პროექტის - „სახელმწიფო არქივების ღიაობის ხელშეწყობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებში“ ფარგლებში. ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს" (IDFI) და არ ასახავს "ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდის" (OSI) პოზიციებს. OSI არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი.....	4
კვლევის კითხვარი	4
ძირითადი მიგნებები.....	5
შეზღუდვები და გასათვალისწინებელი ფაქტორები.....	6
შეფასებული არქივების საერთო რეიტინგი	7
შეფასებული არქივების ვებგვერდების რეიტინგი 2019 წელს და მიმდინარე სპეციფიკა.....	8
დისტანციური მომსახურება - საარქივო ცნობების გაცემა.....	12
კორონავირუსის პანდემიის დროს სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო არქივებში გამოვლენილი ტენდენციები.....	13
აზერბაიჯანი:	13
ბელარუსი:	13
ლატვია:	14
ლიეტუვა:	15
რუმინეთი:	16
საქართველო:.....	17
სომხეთი:.....	18
უკრაინა:	18
უნგრეთი:.....	21
ყაზახეთი:	22
დასკვნა	22
რეკომენდაციები.....	24
დანართები	25
დანართი 1: კითხვარი: სახელმწიფო არქივების აქტივობები COVID-19-ის პანდემიისა და საყოველთაო კარანტინის დროს	25
დანართი 2: შემფასებლების საკონტაქტო მონაცემები	26

შესავალი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), საერთაშორისო მკვლევრებთან ერთად, 2019-2020 წლებში განახორციელა პროექტი - „სახელმწიფო არქივების ღიაობის შეფასება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში“. კვლევამ გამოავლინა რეგიონის 18 ქვეყნის სახელმწიფო არქივების გამჭვირვალობის რეიტინგი და ასევე საკმაოდ საინტერესო მიგნებები და სპეციფიკა, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანაში სახელმწიფო არქივებს გააჩნიათ.¹

კვლევის დაწყებისას, 2019 წლის ივნისის თვეში რა თქმა უნდა, არ იყო გათვალისწინებული პანდემიის ფაქტორი, რამაც მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვნად შეცვალა არა მხოლოდ არქივების მდგომარეობა, არამედ ცხოვრების ყველა მიმართულება. ბუნებრივია ეს კვლევის მეთოდოლოგიასა და საბოლოო რეიტინგში ვერ აისახებოდა. შესაბამისად, პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ახალი კვლევა, რომლის მიზანიც იყო გაერკვია, როგორი დონის ღიაობა შესთავაზა ამა თუ იმ სახელმწიფო არქივმა მკვლევრებს კორონავირუსის პანდემიისა და საყოველთაო კარანტინის დროს და როგორ მოახერხა თანამედროვე რეალობასთან ადაპტირება. აგრეთვე, შეიმუშავეს თუ არა სახელმწიფო არქივებმა სამომავლოდ, მსგავს სიტუაციებში მოქმედების სტრატეგიული გეგმა. კვლევისთვის IDFI-მ შეადგინა კითხვარი, რომელიც არქივში მუშაობის გამოცდილების მქონე საერთაშორისო პარტნიორებმა შეავსეს. გარდა ამისა კვლევის მომზადებაში გამოყენებულ იქნა ინტერნეტში ხელმისაწვდომი წყაროები.

კვლევაში მონაწილეობდნენ ქვეყნები: აზერბაიჯანი, ბელარუსი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, საქართველო, სომხეთი, უკრაინა უნგრეთი და ყაზახეთი.

კვლევის კითხვარი

კვლევის კითხვარი (იხ. დანართი 1) IDFI-ს მენსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების მიმართულების ხელმძღვანელმა, ანტონ ვაჭარაძემ შეიმუშავა უნგრელი პარტნიორის, შანდორ ჰორვატის დახმარებით. კითხვარი გამიზნული იყო COVID-19-ის პანდემიის დროს, სხვადასხვა ქვეყანაში სახელმწიფო არქივების ღიაობის შესაფასებლად.

კითხვარის ავტორები:

- შანდორ ჰორვატი არის თანამედროვე ისტორიის განყოფილების უფროსი და უფროსი მეცნიერ თანამშრომელი უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, საერთაშორისო კვლევითი პროექტის COURAGE – „კულტურული წინააღმდეგობა - განსხვავებული კულტურული მემკვიდრეობის გააზრება ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში“

¹ <http://www.open-archives.org/en/newsblogs/interestingnews/36>

(Cultural Opposition – Understanding the Cultural Heritage of Dissent in the Former Socialist Countries) ძირითადი კოორდინატორი, ჟურნალის - Hungarian Historical Review დამფუძნებელი რედაქტორი. მას აქვს უნგრეთისა და სხვა არა ერთი ქვეყნის არქივებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

- ანტონ ვაჭარაძე არის IDFI-ს მეხსიერების და დუზინფორმაციის კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი. ის 2009 წლიდან მუშაობდა საქართველოს ეროვნულ არქივში. 2012-2017 წლებში ეკავა საისტორიო ცენტრალური არქივის დირექტორის თანამდებობა. არის არაერთი სამეცნიერო პროექტის მონაწილე არქივების მიმართულებით.

შემუშავებული კითხვარი შესავსებად დაეგზავნა IDFI-ის საერთაშორისო პარტნიორებს 10 ქვეყანაში. კითხვარი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა პანდემიის დროს არქივებში დაწესებული შეზღუდვების ხასიათი და ხანგრძლივობა, არქივებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები, პანდემიის გავლენა საარქივო საქმიანობაზე, პერსონალისა და საარქივო დაწესებულებების ფინანსურ მდგომარეობაზე, საარქივო რესურსების ხელმისაწვდომობა ონლაინ სივრცეში და არქივების დისტანციური საქმიანობა.

IDFI-ის მიერ შემუშავებული კითხვარი საშუალებას იძლევა როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისობრივად შეფასდეს პანდემიის დროს სხვადასხვა ქვეყნის არქივებში გატარებული ცვლილებები და მათი ადაპტაციის ხარისხი ახალ რეალობასთან. ასევე, აღნიშნული კითხვარის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა, შეფასებული ქვეყნების მაგალითზე, საუკეთესო და ყველაზე ცუდი პრაქტიკების გამოვლენა პანდემიის პირობებში საარქივო საქმიანობისა და საარქივო დოკუმენტებზე წვდომის უზრუნველყოფის კუთხით.

ძირითადი მიგნებები

COVID-19-ით გამოწვეულმა რეალობამ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ წარმოაჩინა არქივების ვებგვერდების გამართული ფუნქციონირებისა და მომხმარებლებთან ონლაინ კომუნიკაციის მნიშვნელობა, რაც მოცემული კვლევითაც დასტურდება. მაშინ, როდესაც ადამიანებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოუწიათ სახლში ყოფნა და დისტანციურად მუშაობა, ისტორიკოსებისა და მკვლევრებისთვის საარქივო დოკუმენტებზე წვდომის ერთადერთი საშუალება გახდა ინტერნეტი, არქივების ვებგვერდი, იქ განთავსებული ფონდები და ელექტრონული მონაცემთა ბაზები. საარქივო დაწესებულებათა ვებგვერდებზე განთავსებული აღწერები, კატალოგები და დოკუმენტები სამომავლოდ კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ მეცნიერების განვითარებაში. კვლევამ გამოავლინა რამდენიმე ძირითადი მიგნება:

- IDFI-ს პროექტით გამოვლენილი სახელმწიფო არქივების ღიაობის რეიტინგი პირდაპირ აისახა პანდემიის დროს არქივების მუშაობაზე: მაქსიმალურად ღია არქივებმა სწორება აიღეს მკვლევრების და მოქალაქეების ელექტრონული სერვისებით დაკმაყოფილებაზე და პირიქით;
- იმ არქივებმა, რომლებსაც უკვე დაწყებული ჰქონდათ მუშაობა ციფრული ბაზების შექმნასა და განვითარებაზე, მომხმარებლებს გაცილებით მეტი სერვისი და მუშაობის საშუალება

შესთავაზეს, ვიდრე არქივებმა, რომლებსაც ციფრული სერვისების მიმართულება სუსტად ჰქონდათ განვითარებული;

- უკრაინის სახელმწიფო არქივები მოქმედებდნენ ყველაზე აქტიურად და გამჭვირვალედ პანდემიის დროს: ისინი ყოველთვიურად აქვეყნებდნენ სრულყოფილ მიმოხილვას უკრაინის სახელმწიფო არქივების მუშაობის შესახებ, რაც ძირითადად შეეხებოდა ახალი ელექტრონული რესურსების შექმნას და დოკუმენტების გაციფრულებას. აქტიურობით გამოირჩეოდა ლიეტუვის არქივი, ქვეყანაში პანდემიისას დაფუძნებული „კულტურის საგანგებო ფონდის“ 40% გაციფრულების პროექტებს, მათ შორის საარქივო დოკუმენტების გაციფრულებას მოხმარდა. ლატვიის არქივმა მიუხედავად დისტანციური მუშაობისა, არ შეწყვიტა გენეალოგიური ხასიათის კვლევების წარმოება, როდესაც ანალოგიურ მომსახურებაზე უარი თქვა ბელარუსის ეროვნულმა არქივმა, ხოლო მკვლევართა დარბაზში დაბრუნების გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნულმა არქივმა გენეალოგიის მკვლევრების გამოკლებით მიიღო. უნგრეთმა შეამცირა არქივების დაფინანსება, ხოლო ყაზახეთის არქივების უმრავლესობა ცნობებს დისტანციურადაც არ გასცემდა.
- სამომავლოდ, კრიზისების შემთხვევაში აუცილებელია მოქმედების გეგმის შემუშავება, რაზეც დიდწილად დამოკიდებული იქნება არქივების გამართული ფუნქციონირების, თანამშრომლების შენარჩუნების და სხვა არაერთი საკითხი.

შეზღუდვები და გასათვალისწინებელი ფაქტორები

კვლევის წარმოებისას გასათვალისწინებელი ფაქტორია, თუ რამდენად დააზარალა კვლევაში ჩართული სხვადასხვა ქვეყანა COVID-19 პანდემიამ. მაგალითად, თუ შევადარებთ ერთი რეგიონის ქვეყნებს, საქართველოსა და სომხეთს, რომლებშიც დაახლოებით თანაბარი რაოდენობის მოსახლეობა ცხოვრობს და ეკონომიკურადაც მსგავს მდგომარეობაში არიან, საქართველოს შემთხვევაში, მარტიდან - ივლისამდე ინფიცირებულთა სრული რაოდენობა იყო 963, გარდაცვლილი კი - 15 ადამიანი, ხოლო სომხეთის შემთხვევაში - 29,285 ინფიცირებული და 503 გარდაცვლილი (წყარო: <https://www.worldometers.info/coronavirus/> - 2020 წლის 8 ივლისს განახლებული მონაცემები). თუმცა უკვე სექტემბერ-ოქტომბრის თვეში მონაცემები შეიცვალა და საქართველოში დღიურმა მაჩვენებელმა ზრდა დაიწყო. 15 ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოში დღიური შემთხვევების რაოდენობა - 919, პრაქტიკულად გაუთანაბრდა სომხეთის შემთხვევებს - 1.371 (წყარო: <https://www.worldometers.info/coronavirus/> - 2020 წლის 15 ოქტომბერს განახლებული მონაცემები).

ასევე აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორია კორონავირუსის მართვის პოლიტიკა სხვადასხვა ქვეყანაში. ზოგიერთმა ქვეყანამ აირჩია სრული ჩაკეტვის გზა, გამოაცხადა საყოველთაო „ლოქდაუნი“, კომენდანტის საათი და მიიღო რადიკალური ზომები. ზოგიერთმა ე.წ. „შვედურ მოდელს“² მიმართა და ყველაფერი მოქალაქეების პირად პასუხისმგებლობაზე გახადა დამოკიდებული.³ ამასთანავე, ქვეყნები გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, ცვლიდნენ


² <https://www.bmj.com/content/369/bmj.m2376>

³ „შვედური მოდელი“ გულისხმობს შვედეთის მთავრობის განსაკუთრებულ მიდგომას კორონავირუსის კრიზისთან მიმართებაში - მათ, მიუხედავად შემთხვევების ზრდისა, არ გამოუცხადებიათ საყოველთაო

პოლიტიკას. მაგალითად, საქართველომ პანდემიის საწყის ეტაპზე მკაცრი ზომები გაატარა, შემდეგ კი შეზღუდვები მინიმუმამდე დაიყვანა. კვლევაში წარმოდგენილი ქვეყნებიდან თავდაპირველად „შვედური მოდელისთვის“ არც ერთს არ მიუმართავს, თუმცა პანდემიის მეორე ტალღისას საყოველთაო ლოქდაუნი 2020 წლის ოქტომბრამდე აღარცერთ მათგანში არ გამოცხადებულა.

შეფასებული არქივების საერთო რეიტინგი

2019-2020 წლების საარქივო პროექტის ფარგლებში შეფასებული ქვეყნების საერთო რეიტინგი ასე გამოიყურებოდა:



არქივების ღიაობა - ქვეყნების რეიტინგი

საბჭოთა რესპუბლიკების და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნების არქივების ღიაობის 2019 წლის შედეგების თანახმად, ლიეტუვას (86.81%) აქვს ყველაზე უფრო ღია და ხელმისაწვდომი არქივები შეფასებულ 18 ყოფილ საბჭოთა და აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებს შორის. მას მოყვება ლატვია (83.23%), ბულგარეთი (81.25%), უკრაინა (80.8%). აღნიშნული არქივები მოხვდნენ ე.წ. „მწვანე ზონაში“, რომელიც მოიცავს არქივებს 80%+ ღიაობით. „მწვანე ზონასთან“ საკმაოდ ახლოსაა ჩეხეთისა (79.29%) და პოლონეთის (78.43%) შედეგები. უნგრეთმა (74.46%) დაიკავა მეშვიდე ადგილი

კარანტინი, არ დაუკეტიათ კვებითი და გასართობი ობიექტები, მუშაობდა სკოლებიც და საზოგადოებრივი შეკრებებიც მხოლოდ 50 კაცამდე შეიზღუდა, თუმცა ამის პარალელურად ყველა სივრცისთვის შემუშავებული იყო სოციალური დისტანცირების, პირბადის ტარებისა და ჰიგიენის ნორმები.

და საქართველომ (70.99%), რუმინეთმა (70.83%) და მოლდოვამ (69.9%) შესაბამისად დაიკავეს მერვე, მეცხრე და მეათე ადგილები.

რეიტინგის მიხედვით, ქვეყნები ყველაზე ნაკლებად ღია არქივებით იყვნენ: ბელარუსი (42.17%), ყირგიზეთი (41.21%) და უზბეკეთი (31.87%). ყველა ამ ქვეყნის ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (КГБ) არქივები სრულად დახურულია.⁴

შეფასებული არქივების ვებგვერდების რეიტინგი 2019 წელს და მიმდინარე სპეციფიკა

2019 წლის საერთაშორისო ღიაობის რეიტინგის მიხედვით, შეფასებული 18 ქვეყნის არქივებიდან, რეიტინგის მიხედვით პირველი ორი სახელმწიფო არქივი ვებგვერდის ფუნქციონირების კომპონენტში ლიეტუვადანაა: ლიეტუვის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (97.86%) და ლიეტუვის სპეციალური არქივი (93.57%). ასევე, მაღალი შეფასება მიიღო რუმინეთის ეროვნული არქივის ვებგვერდმა და ონლაინ მომსახურებამ (91.43%), ჩეხეთის ორივე არქივი - ჩეხეთის ეროვნული არქივი (89.29%) და ჩეხეთის მთავრობის უსაფრთხოების სამსახურის არქივი (87.14%) ისევე, როგორც ბულგარეთის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის არქივი (87.86%) და ბულგარეთის ცენტრალურმა სახელმწიფო არქივმა (83.57%).

2019 წელს აღსანიშნავი იყო ვებგვერდის ფუნქციონირების მიმართულებით საქართველოს ეროვნული არქივის პროგრესი 2018 წელთან შედარებით, რომელიც გამოიხატა 21%-იან ზრდაში (60.71% - 2018 წელს, 82.14% - 2019 წელს). საქართველოს ეროვნულმა არქივმა გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები, რათა გაზრდილიყო ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტთა ადწერების, დასკანერებული მასალისა და სხვა მონაცემების რაოდენობა. ასევე, დაინერგა ვებგვერდის ადაპტირებული ვერსია უსინათლო და მხედველობაშეზღუდული პირებისთვის.⁵ საქართველოს მეორე, შსს არქივში 2018 წელთან შედარებით ვითარება არ შეცვლილა.

ყველაზე ცუდ პრაქტიკად შეგვიძლია განვიხილოთ იმ საარქივო დაწესებულებების მუშაობა, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ ვებგვერდი:

- ბელარუსის უშიშროების (КГБ) არქივი;
- აზერბაიჯანის შსს არქივი;
- უზბეკეთის უშიშროების (КГБ) არქივი;
- ყირგიზეთის შსს არქივი;
- ტაჯიკეთის ორივე არქივი;
- სომხეთის უსაფრთხოების სამსახურის არქივი;
- რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის (ФСБ) არქივი.

ონლაინ სერვისები სუსტად განვითარებული აქვთ შემდეგ არქივებს:

- აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის არქივი;

⁴ <http://www.open-archives.org/en/rating>

⁵ <https://archive.gov.ge/ge/adaptirebuli-gverdi-1>

- ყაზახეთის რესპუბლიკის, ყარაღანდას რეგიონის მთავარი პროკურატურის სამართლებრივი სტატისტიკისა და სპეციალურ საქმეთა კომიტეტის არქივი;
- მოლდოვის ორივე არქივი.

ვებგვერდის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება არის საარქივო დოკუმენტებისა და აღწერილობების (finding aid) მიწოდება მკვლევრებისთვის დისტანციურ რეჟიმში.

ფონდების აღწერების 76-100% განთავსებულია შემდეგ არქივებში:

- უნგრეთის ეროვნული არქივი;
- ლიეტუვის არქივები;
- რუმინეთის არქივები.

ფონდების აღწერების 50-75% შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი არქივების ვებგვერდებზე:

- ბულგარეთის არქივი (COMDOS);
- საქართველოს შსს არქივი (საქართველოს შსს არქივი შედგება ორი განყოფილებისგან: ყოფილი უშიშროების კომიტეტის (KFB) არქივის დოკუმენტების აღწერები ონლაინ არაა განთავსებული, ხოლო კომუნისტური პარტიის არქივის აღწერების დიდი ნაწილი ვებ გვერდზე დასკანერებული სახითაა ატვირთული);
- საქართველოს ეროვნული არქივი.

ფონდების აღწერების 25-50%:

- ჩეხეთის ეროვნული არქივი.

ფონდების აღწერების 25%-ზე ნაკლებია ხელმისაწვდომი შემდეგი არქივების ვებგვერდებზე:

- ბელარუსის ეროვნული არქივი;
- ბულგარეთის ცენტრალური არქივი;
- ჩეხეთის მთავრობის უსაფრთხოების კომიტეტის არქივი არქივი;
- ლატვიის ეროვნული არქივი;
- უკრაინის მთავრობის ცენტრალური სახელმწიფო (CDAVO) არქივი.

ვებგვერდებზე აღწერები საერთოდ არა არის ხელმისაწვდომი აზერბაიჯანის, ყაზახეთის, უზბეკეთის, მოლდოვის, ყირგიზეთის, პოლონეთისა და რუსეთის არქივებში ისევე, როგორც უნგრეთის უსაფრთხოების არქივში, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის არქივში და იმ არქივებში, რომლებსაც ვებგვერდი არ გააჩნიათ.⁶


აქვე, მუშაობის კომოფრტულობის კუთხით, საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტორიც. ზოგიერთი ზემოხსენებული არქივის ვებგვერდზე განთავსებულია ძველი აღწერების სკანირებული ვერსიები, რომელსაც არ გააჩნია ელექტრონული საძიებო სისტემა და, შესაბამისად, დისტანციურად შესაძლებელია მხოლოდ ამ აღწერების „გადაფურცვლით“ ნახვა. აღწერები ამ ფორმით ვებგვერდზე განთავსებული აქვს, მაგალითად, საქართველოს ეროვნულ არქივს:

⁶ <http://www.open-archives.org/en/rating>

რემინეთის ეროვნული არქივის გვერდზე ხელმისაწვდომი საქმის აღწერილობა (წყარო: <http://cautare-b.archivenationale.ro/cautare-b/detail.aspx?ID=409650>)

ლიეტუვაში, რომლის არქივებსაც ვებგვერდის ფუნქციონირების კომპონენტში ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვთ, საარქივო სერვისების მიღება და დოკუმენტების მოძიება სინქრონიზებულია მთავრობის ელექტრონულ პორტალთან. იმავე პორტალის მეშვეობით მოქალაქეები სარგებლობენ e-bank, e-signature და სხვა სერვისებით. როგორც ჩვენი პარტნიორი მკვლევარი ლიეტუვაში, ვიტყუტას სტარიკოვიჩუსი აღნიშნავს, ელექტრონული პორტალის გამოყენებით შესაძლებელია საარქივო დოკუმენტების მოძიება. საჭიროა საკვანძო სიტყვების, თემის, არქივის, დოკუმენტის კიდური თარიღების და ა.შ. მითითება. ლიეტუვის თითოეულ ცენტრალურ თუ რეგიონულ არქივს აქვს ვალდებულება, პორტალს პროაქტიულად მიაწოდოს ინფორმაცია ფონდების შესახებ (2020 წლისთვის არქივების უმეტესობას ეს პირობა შესრულებული აქვს). პორტალის შემდეგი ნაბიჯი არის საარქივო მასალის (დოკუმენტების, საქმეების) ხელმისაწვდომობა და ჩამოტვირთვა. ლიეტუვის ზოგიერთი არქივი ასრულებს ამ ვალდებულებას და ტვირთავს ფაილებს. ზოგმა, მაგალითად - ლიეტუვის ლიტერატურისა და ხელოვნების არქივმა, გადაწყვიტა შეექმნა პარალელური საინფორმაციო ბაზა და ვებგვერდები. აღნიშნული არქივი არ იყო კმაყოფილი ცენტრალიზებული ბაზით, რადგან აქ შეუძლებელია მაღალი რეზოლუციის ფოტოებისა და ფილმების გაზიარება. სხვა პრობლემა, რომლებსაც ლიეტუვის არქივები, განსაკუთრებით კი რეგიონებში აწყდებიან, არის მაღალი ხარისხის მოწყობილობების უქონლობა და პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია დოკუმენტების გაციფრულების საქმეში.

← → ↻ 🏠 eais-pub.archyvai.lt/eais/faces/pages/forms/search/F3001.jspx 🔍 ☆ ☰ 🔊

 Lietuvos vyriausiojo archyvaro tarnyba Versija neigaliems | Struktūra | Pagalba
Prisijungęs: VYTAUTAS STARIKOVIČIUS | Atsijungti

Elektroninio archyvo informacinė sistema

ADOC dokumentai ▾ Aprašų paieška ▾

Pradžiai

Aprašų paieška

Rodyti išplestinę paiešką

Bet koks žodis tekste

Chronologinės ribos nuo iki

Saugotojas


Rubrika

Ankstesni Kiti 20

K-44. Juozo Albino Markulio dokumentų kolekcija (LYA)

Mindaugo g. 8, LT-03107 Vilnius,
tel. (8 5) 265 1137, faks. (8 5) 265 2314,
el. p. lval@archyvai.lt

© 2011 Lietuvos vyriausiojo archyvaro tarnyba
1.4.7-2eb0018



ლიეტუვის მოქალაქის სპეციალურ ვებ-პორტალზე ხელმისაწვდომი საარქივო აღწერები (წყარო: IDFI-ის პარტნიორის, ვიტაუტას სტარიკოვიჩუსის მოქალაქის პირადი გვერდი)

შეფასებულ არქივებში უკვე დასკანერებული დოკუმენტები ხელმისაწვდომია ავტონომიურად, ხოლო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შემთხვევაში სხვადასხვა ევროპული ინიციატივების ფარგლებშიც⁷, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ევროკავშირის საკანონმდებლო ჩარჩოს მნიშვნელობასა და სერვისების უნიფიცირების აუცილებლობაზე.

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს წარმოადგენენ ის ქვეყნები და ცალკეული არქივები, სადაც შესაძლებელია დასკანერებული დოკუმენტების დისტანციურად მიღება. ამგვარი სერვისის მნიშვნელობა კიდევ ერთხელ დადასტურდა მას შემდეგ, რაც მილიონობით ადამიანი დისტანციურ სამუშაოზე გადაერთო. ასეთი დაწესებულებებია:

- ბულგარეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი;
- ლატვიის ეროვნული არქივი;
- ლიეტუვის ორივე არქივი;
- რუმინეთის ეროვნული არქივი;
- რუსეთის საისტორიო არქივი;
- უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის (SBU) არქივი.

დისტანციური მომსახურება - საარქივო ცნობების გაცემა

ჩვენი მკვლევარები, მათ შორის იმ ქვეყნებიდან, რომლის არქივებსაც აქვთ განვითარებული ელექტრონული სერვისები, აღნიშნავენ, რომ ონლაინ მომსახურება შედარებით ახალია და უმეტეს

⁷ <https://www.archivesportaleurope.net/home>

მათგანთან საარქივო პორტალები ჯერ კიდევ სატესტო რეჟიმში მუშაობენ, ხოლო დასკანერებული და ონლაინ ხელმისაწვდომი დოკუმენტების რაოდენობა ჯერ კიდევ მცირეა.

2019 წელს ონლაინ მომსახურება - საარქივო ცნობების შესახებ განაცხადის შეტანა და ცნობის დისტანციურად მიღება შესაძლებელი იყო ბულგარეთში, ლატვიის არქივებში, ბელარუსის ეროვნულ არქივში, ყაზახეთში, ლიტვის არქივებში, რუმინეთის ეროვნულ არქივში, უკრაინის უმაღლესი ხელისუფლებისა და მთავრობის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (CDAVO) და საქართველოს არქივებში. ონლაინ სერვისები არ არის ხელმისაწვდომი აზერბაიჯანში, მოლდოვაში, რუმინეთის უსაფრთხოების სამსახურის არქივში, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის არქივში, უნგრეთსა და უზბეკეთში.

კორონავირუსის პანდემიის დროს სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო არქივებში გამოვლენილი ტენდენციები

აზერბაიჯანი:

შემფასებელი: ელდარ ზეინალოვი - უფლებადამცველი, აქტივისტი და არქივების მკვლევარი. არასამთავრობო ორგანიზაციის - „აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა ცენტრი“ (Human Rights Center of Azerbaijan) დამფუძნებელი და დირექტორი.

აზერბაიჯანში დაიხურა ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზები, ხოლო სხვა სახის სერვისები, როგორცაა, მაგალითად, საარქივო ცნობების მოთხოვნა-მიღება, კვლავ ხელმისაწვდომი იყო.

აზერბაიჯანის ეროვნულმა არქივმა შეზღუდვების დაწესების და მკვლევართა დარბაზების დახურვის გადაწყვეტილება მიიღო 2020 წლის 11 მარტს და გაიხსნა 31 აგვისტოდან.

აზერბაიჯანის იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი აქტების ბაზის მიხედვით, საარქივო კანონმდებლობაში ცვლილებები არ შესულა. შეზღუდვები შემოიღო არქივის ხელმძღვანელობამ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პანდემიასთან ბრძოლის შტაბის რეკომენდაციების გათვალისწინებით. აზერბაიჯანის ეროვნულ არქივს ფინანსური სახსრების დაზოგვის მიზნით თანამშრომლები არ გაუთავისუფლებია.

მკვლევრებთან ურთიერთობა ხდებოდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ელექტრონული ფოსტით არქივი იღებდა განცხადებებს და გასცემდა შესაბამის ცნობებს. ჩვენმა მკვლევარმა აზერბაიჯანში, ელდარ ზეინალოვმა ვერ მოიპოვა ინფორმაცია, რა ღონისძიებები გატარდა თანამშრომლების დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ანალოგიურ ვითარებაში (პანდემია ან სხვა დამაბრკოლებელი და ხელისშემშლელი ფაქტორები) სამომავლო მოქმედების სტრატეგიული გეგმა აზერბაიჯანის სახელმწიფო არქივს არ შეუმუშავებია.

ბელარუსი:

შემფასებელი: დიმიტრი დროზდი - ბელორუსის დოკუმენტური ცენტრის (Белорусский документационный центр) მკვლევარი.

მინსკის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის (Мингорисполкома) 2020 წლის 7 აპრილის დადგენილებით № 1069, 10 აპრილიდან არქივის მკვლევართა დარბაზები მკვლევრებისთვის

დაიკეტა. არქივის სხვა განყოფილებები მუშაობდნენ ჩვეულებრივ რეჟიმში, სავალდებულო იყო ნიღბების ტარება.

ბელარუსის ეროვნულ არქივში დაინერგა სიანლე - საარქივო დოკუმენტების სკანირებული ასლების შეკვეთა და მიღება ელექტრონული გზით (ელექტრონული ფოსტით). ყველა ამ სახის შეკვეთა, რაც საარქივო დოკუმენტების ასლების დამზადებას მოიცავდა, დადგენილ ვადებში შესრულდა და შესაბამისი საფასურის გადახდის შემდეგ ჩვეულებრივი ან ელექტრონული ფოსტით გაეგზავნათ დამკვეთებს. გამონაკლისს წარმოადგენდა გენეალოგიური ხასიათის დოკუმენტები, რომელთა მოძიებაც განმცხადებელთა დიდი რაოდენობისა და სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე შეწყდა.

ბელარუსის ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზები ხელახლა გაიხსნა 2020 წლის 21 ივლისს, თუმცა დაწესდა შეზღუდვა მომხმარებლების რაოდენობაზე.

პანდემიასთან დაკავშირებით, საარქივო კანონმდებლობაში ცვლილებები არ შესულა. ასევე, არ მომხდარა საარქივო და საქმისწარმოების წესის ცვლილება და არ შემცირებულა თანამშრომელთა რაოდენობა. თანამშრომლები დისტანციური მუშაობის რეჟიმზე არ გადასულან, ყველანი აგრძელებდნენ მუშაობას ოფისიდან.

ანალოგიურ ვითარებაში (პანდემია ან სხვა დამაბრკოლებელი და ხელისშემშლელი ფაქტორები) სამომავლო მოქმედების სტრატეგიული გეგმა ბელარუსის სახელმწიფო არქივს არ შეუმუშავებია.

ლატვია:

შემფასებელი: ედგარს ენგიზერსი - ბალტიის საერთაშორისო აკადემიის ევროპული კვლევების დეპარტამენტის ფაკულტეტის წევრი.

ლატვიის ეროვნული არქივი სრულად იყო დაკეტილი მკვლევრებისთვის 2020 წლის 16 მარტიდან - 2020 წლის 18 მაისის ჩათვლით.

პანდემიასთან დაკავშირებით საარქივო კანონმდებლობაში ცვლილებები, საარქივო და საქმისწარმოების წესის ცვლილება, თანამშრომელთა შემცირება ლატვიის ეროვნულ არქივში არ განხორციელებულა, გარდა პანდემიასთან დაკავშირებული ზოგადი წესების შემოღებისა ლატვიის ეროვნული არქივის შიდა რეგულაციით (პირბადის ტარება, სოციალური დისტანცია და ა.შ.).

არქივი ფუნქციონირებდა დისტანციურ რეჟიმში - აწარმოებდა ცნობების მიღება-დამუშავებასა და გაცემას, გენეალოგიურ კვლევას, მოთხოვნილი სკანირებული დოკუმენტების მკვლევრებისთვის მიწოდებასა და სტუდენტების მომსახურებას.

თანამშრომლების დაახლოებით ნახევარი გადავიდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე. მათ ბაზებში შეჭქონდათ ინფორმაცია, მუშაობდნენ ელექტრონული საძიებო სისტემების გაუმჯობესებაზე, ოფიციალური პირებსა და მოქალაქეებს აწვდიდნენ ინფორმაციას ტელეფონით და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით.

ელექტრონულ საშუალებები, რომლებსაც ლატვიის ეროვნული არქივის თანამშრომლები იყენებდნენ იყო: ლატვიის არქივის საკუთარი ელექტრონული პროგრამა (Task tracking system of Archival information system (VVAIS)), Zoom Meetings, Microsoft Teams. ყველანაირი სახის კომუნიკაცია მომხმარებელთან წარმოებდა ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

ანალოგიურ ვითარებაში (პანდემია ან სხვა დამაბრკოლებელი და ხელისშემშლელი ფაქტორები) სამომავლო მოქმედების სტრატეგიული გეგმა ლატვიის სახელმწიფო არქივს არ შეუმუშავებია.

ლიეტუვა:

შემფასებელი: ვიტაუტას სტარიკოვიჩუსი - ვილნიუსის უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტის ლექტორი.

მიუხედავად იმისა, რომ ლიეტუვის არქივები (ან სხვა ინსტიტუტები) რაიმე კანონის საფუძველზე სრულად არ დაკეტილა, არაორგანიზებული ან კოორდინაციის ნაკლებობის გამო მიიღეს ზოგიერთი ბუნდოვანი მუხლი. ასევე, არქივების ადმინისტრაციამ საგანგებო მდგომარეობისთვის შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფის მიერ მიღებული მუხლები მოარგო თავის შიდა წესებს, რათა უსაფრთხო სამუშაო გარემო ყოფილიყო უზრუნველყოფილი და თავიდან აერიდებინათ ადმინისტრაციული ჯარიმები. 2020 წლის 17 მარტიდან - 2020 წლის 24 აპრილამდე ლიეტუვის არქივების ყველა სერვისი მომხმარებელს მიეწოდებოდა ინტერნეტის ან ტელეფონის საშუალებით, რაც მოიცავდა დოკუმენტების ციფრული ასლების, საარქივო ცნობების გაცემას და სხვა სახის მომსახურებას. 24 აპრილს შეზღუდვები შემსუბუქდა, რეალურად კი არქივებში მუშაობა კვლავ შეზღუდვებით მიმდინარეობდა: სოციალური დისტანციის დაცვის გამო, მკვლევართა დარბაზებში ერთდროულად მხოლოდ 1-დან 3 ადამიანამდე დაიშვებოდა წინასწარი რეგისტრაციით და თითოეულ ვიზიტორს უნდა გაეკვლო „სანიტარული შესვენება“ ყოველ 15 წუთში ერთხელ (ლიეტუვის ეროვნული არქივის შინაგანაწესი, - მე-3 და მე-4 მუხლები). რეგიონების არქივებში, სადაც ინფრასტრუქტურასა და აღჭურვილობასთან დაკავშირებით პრობლემებია, სიტუაცია კიდევ უფრო უარესი იყო. საყოველთაო კარანტინი 2020 წლის 16 ივნისს მოიხსნა, მაგრამ სოციალურ დისტანცირებასა და ჰიგიენასთან დაკავშირებული რეკომენდაციები და საჯარო მომსახურების გაწევის წესები კვლავ მოქმედებს, ამიტომ არქივების ადმინისტრაციას უწევს, დააწესოს სამუშაო გარემოსთან ადაპტირებული წესები. პირბადეები და ხელთათმანები, სანიტარია და ჰიგიენა, არქივში დაშვებულ პირთა რაოდენობაზე შეზღუდვები და წინასწარ რეგისტრაცია კვლავ რეკომენდირებულია. 2020 წლის 1 აგვისტოდან კი დახურულ დაწესებულებებში საჯარო მომსახურების თაობაზე შეზღუდვები კვლავ განახლდა.

პანდემიასთან დაკავშირებით, ცვლილებები საარქივო კანონმდებლობაში, საარქივო და საქმისწარმოების წესის ცვლილება, თანამშრომელთა შემცირება ლიეტუვის ეროვნულ არქივში არ მომხდარა, გარდა პანდემიასთან დაკავშირებული ზოგადი წესების შემოღებისა შიდა რეგულაციით, რაც მოიცავდა: ხშირ დეზინფექციას, პირბადის ტარებას, სოციალურ დისტანციას, დახურულ სივრცეში თითოეული მკვლევრისთვის შესაბამისი კვადრატული მეტრების გამოყოფას, „სანიტარულ შესვენებებს“ და ა.შ.

ლიეტუვას არქივს ჯერ არ აქვს შეუმუშავებული სამომავლოდ ანალოგიურ ვითარებაში (პანდემია ან სხვა დამაბრკოლებელი და ხელისშემშლელი ფაქტორები) მოქმედების სტრატეგიული, გრძელვადიანი გეგმა, თუმცა ლიეტუვას საარქივო უწყება პასუხისმგებელია გეგმის შეუმუშავებაზე, რომელიც თანხვედრაში მოვა სახელმწიფო რეგულაციებთან. როგორც წესი, თითოეული არქივი მიმართავს ახალ რეგულაციებს (შერბილების ან გამკაცრების კუთხით), ეს დამოკიდებულია ზოგად ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობასა და ლიეტუვის საგანგებო სიტუაციების საკოორდინაციო ჯგუფის რეკომენდაციებზე.


იმის გამო, რომ არქივები არ დახურულა, მკვლევართა დარბაზების გარდა, ლიეტუვის ეროვნული არქივის თითოეულმა განყოფილებამ ისევე გააგრძელა საქმიანობა, როგორც პანდემიამდე.

პერსონალის მოვალეობები დისტანციურად მუშაობის პირობებში ანალოგიური რჩებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ მედიაში არქივების აქტივობა საკარანტინო პერიოდში ძლიერ გაიზარდა: გაიზარდა ვირტუალური გამოფენების რაოდენობა, სოციალურ ქსელებში განთავსებული პოსტები საინტერესო დოკუმენტებითა და სტატიებით (განსაკუთრებით პანდემიასთან დაკავშირებული ისტორიების შესახებ).

საკომუნიკაციო საშუალებად ლიეტუვის ეროვნული არქივის დისტანციურ რეჟიმზე მომუშავე თანამშრომლები პანდემიის ადრეულ ეტაპზე იყენებდნენ Zoom-ს, ხოლო შემდეგ Microsoft Teams ან Google Meet პლატფორმებს უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე.

ვიტაუტას სტარიკოვიჩუსი დამატებით ფაქტად აღნიშნავს, რომ პანდემიის დროს კულტურის სამინისტრომ დააფუძნა კულტურის ფონდი 8 მილიონი ევროთი, საიდანაც 40% მოხმარდა გაციფრულების პროექტებს (აღნიშნულია ლურჯით გრაფიკზე). ამავდროულად, მკვლევრები და მოქალაქეები ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ, რადგან მსგავსი ფონდი მეზობელ ესტონეთში 25 მილიონ ევროს შეადგენს.

COVID-19 Kultūros sferos programos



უკიდემიის პირობებში ლიეტუვას და ესტონეთის კულტურის ფონდების შედარებითი გრაფიკი (წყარო: ევროკავშირის პარლამენტის წევრის, აუსრა მალდეიკინას შედგენილი გრაფიკი)

რუმინეთი:

შემფასებელი: ალექსანდრუ მურად მირონოვი - ბუქარესტის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის წევრი.

სახელმწიფო არქივი სრულად დაიხურა საზოგადოებისთვის და მკვლევრებისთვის 2020 წლის მარტიდან - ივნისის ჩათვლით.

საარქივო სერვისები სტანდარტულად, ისევე როგორც სხვა პერიოდში, ხელმისაწვდომი იყო ონლაინ რეჟიმში.

ივნისის შემდეგ, მკვლევართა დარბაზებში დაწესდა სტანდარტული შეზღუდვები: სოციალური დისტანცირება, ხანმოკლე სამუშაო საათები, შეზღუდული რაოდენობის მკვლევრები.

კომუნიკაცია, მაგალითად, სკანირებული მასალის შეკვეთა და მიღება და ცნობების მომზადება, ხორციელდებოდა ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

პარტნიორმა მკვლევარმა რუმინეთის ეროვნული არქივისგან ვერ მოახერხა მოეპოვებინა ინფორმაცია პანდემიის გამო საარქივო კანონმდებლობაში ან საარქივო და საქმისწარმოების წესში შეტანილი ცვლილებების, თანამშრომელთა შემცირების თაობაზე. მსგავსი ცვლილებები რუმინეთის საჯარო საინფორმაციო საშუალებით, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებებს აქვეყნებს - არ გამოქვეყნებულა. ასევე, არქივს ღია წყაროებში არ განუთავსებია ინფორმაცია სამომავლოდ ანალოგიურ ვითარებაში (პანდემია ან სხვა დამაბრკოლებელი და ხელისშემშლელი ფაქტორები) მოქმედების სტრატეგიული გეგმის შესახებ.

საქართველო:

შემფასებელი: ანტონ ვაჭარაძე - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიმართულების ხელმძღვანელი.

საქართველოს ეროვნული არქივი და შსს არქივები დახურული იყო მკვლევრებისთვის, სხვა ტიპის მომსახურებას დაწესებულებები ახორციელებდნენ დისტანციურ რეჟიმში.

საქართველოს ეროვნული არქივის მკვლავართა დარბაზი დაიკეტა 6 მარტს და მკვლევრებისთვის კვლავ გაიხსნა 1 ოქტომბერს, თუმცა შეზღუდვებით - დაშვების უფლება მიეცა მხოლოდ უმაღლესი სასწავლო და კვლევითი დაწესებულებების მიერ წარგზავნილ მკვლევრებს, ხოლო პირადი ინიციატივით მისულები, მაგალითად გვარის გენეალოგიაზე მომუშავეები, მკვლევართა დარბაზში არ დაიშვებოდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, გვარის გენეალოგიაზე მომუშავე მკვლევრების რიცხვი საქართველოს ეროვნულ არქივში ყველაზე მაღალია და მკვლევრების 70%-ზე მეტი სწორედ ამ თემაზე მუშაობს, შესაბამისად არდაშვების მოტივი სწორედ მათი რაოდენობა იყო და არა სხვა რომელიმე ობიექტური მიზეზი. საქართველოს ეროვნული არქივის მსგავსი პრაქტიკა ამოქმედდა მხოლოდ ბელარუსის არქივში - სადაც გამონაკლისის სახით, შეწყდა გენეალოგიური ხასიათის დოკუმენტების მოძიება განმცხადებელთა დიდი რაოდენობისა და სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე. მეორეს მხრივ, საერთო რეიტინგით უფრო მაღლა მდგომი, ლატვიის ეროვნული არქივი კვლავ აგრძელებდა მსგავსი ცნობების მიღებასა და გაცემას.

საარქივო კანონმდებლობაში ცვლილებები არ შესულა. საქართველოს ეროვნული არქივის შიდა რეგულაციების თანახმად, მკვლევრების და თანამშრომლების მიერ გამოყენებული ყველა დოკუმენტი საცავში დაბრუნებამდე ექვემდებარებოდა 72 საათიან კარანტინს.

პანდემიას საქართველოს ეროვნული არქივის თანამშრომლების შემცირება არ გამოუწვევია, არქივისტების 80-90%-მა დაიწყო სახლიდან მუშაობა. მათ ძირითად საქმიანობას შეადგენდა საბჭოთა ეპოქაში შექმნილი ფონდების რუსულენოვანი აღწერების თარგმნა, გაუმჯობესება და ციფრულ ფორმატში გადაყვანა. მიუხედავად საქართველოს ეროვნული არქივის თანამშრომლების რაოდენობისა (დაახლოებით 400 სამტატო თანამშრომელი, რომელთა შორის უმეტესობა არქივისტია) და პანდემიის რამდენიმეთვიან პერიოდში დისტანციურ რეჟიმზე გადასვლისა, საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი მუშაობის შედეგების შესახებ. ჯერჯერობით, არც ერთი ქართულად თარგმნილი და გაუმჯობესებული რუსულენოვანი საარქივო აღწერა საიტზე გამოქვეყნებული არ არის.

საქართველოს ეროვნულმა არქივმა ონლაინ საცნობარო მომსახურების მიღების შესაძლებლობა (საარქივო ცნობების მიღება-გაცემის კუთხით) დაუშვა სწორედ კორონავირუსის პანდემიის დროს

სახელმწიფო სერვისების პორტალის - my.gov.ge საშუალებით.⁸ მსგავსი საშუალება მიეცათ შსს არქივის მომხმარებლებსაც, პირდაპირ არქივისთვის მეილის მიწერით.⁹

კრიზისულ სიტუაციაში მოქმედების სამომავლო გეგმა საქართველოს ეროვნულ და შსს არქივებს არ შეუმუშავებიათ.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულმა არქივი გაააქტიურდა სოციალურ ქსელებში და პოსტების რაოდენობა გაიზარდა საინტერესო დოკუმენტებითა და სტატიებით. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნულმა არქივმა გამართა რამდენიმე ონლაინ გამოფენა.¹⁰ ასევე, ბოლო ხანებში, საქართველოს ეროვნულმა არქივმა გაზარდა ვებგვერდზე საარქივო დოკუმენტების ხელმისაწვდომობა და პერიოდულად საარქივო დოკუმენტები გამოქვეყნება. 2018-2019 წლებში ტექნიკური გაიმართა საქართველოს ეროვნული არქივის ვებგვერდი და უწყებამ დაიწყო დოკუმენტების, ფონდებისა და ცალკეული კოლექციების პროაქტიულად ატვირთვა. ჯერჯერობით ატვირთულია დოკუმენტების მხოლოდ მცირე ნაწილი, თუმცა ეს მაინც წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.¹¹

სომხეთი:

შემფასებელი: ჰრანუმ ხარატიანი - ისტორიკოსი, არქივისტი. არასამთავრობო ორგანიზაცია „აზარაშენის“ - ეთნოლოგიური კვლევების სომხური ცენტრის საარქივო მიმართულების ხელმძღვანელი.

სომხეთში ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზები 3 თვით, 16 მარტიდან 17 ივნისის ჩათვლით დაიხურა. 17 ივნისიდან გაიხსნა შეზღუდული დროით, სამუშაო გრაფიკით 15:00 საათამდე, ხოლო 19 აგვისტოდან - სრულად. არქივიდან ცნობების აღება მიმდინარეობდა შეუფერხებლად. ასევე, შესაძლებელი იყო დოკუმენტების ციფრული ასლების გამოთხოვა და მიღება ონლაინ რეჟიმში.

სომხეთის საარქივო კანონმდებლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა. სომხეთის ეროვნულ არქივს არ შეუმცირებია თანამშრომლები. არქივის მუშაობის წესები შეიცვალა ქვეყანაში ზოგადად შემოღებული რეგულაციების მიხედვით.

არქივის თანამშრომლები თითქმის არ გადასულან დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე, მხოლოდ მათი 1%-ზე ნაკლები, ისინი ვინც ეწეოდნენ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, გადავიდნენ დისტანციურ რეჟიმზე.

სომხეთის ეროვნულ არქივში არ შემუშავებულა მსგავსი სიტუაციებში მოქმედების სამომავლო გეგმა.

უკრაინა:

შემფასებელი: ანა ოლიინიკი - უკრაინის გამათავისუფლებელი მოძრაობის კვლევითი ცენტრის დირექტორი.

⁸ <https://archive.gov.ge/ge/distantiuri-momsakhureba-1>

⁹ <https://archive.mia.gov.ge/servisebi.html>

¹⁰ <https://archive.gov.ge/ge/pavilioni/exhibition>

¹¹ <https://archive.gov.ge/ge/saarkivo-fondebi>

უკრაინის სახელმწიფო საარქივო სამმართველომ პანდემიის სამართავად დაწესებული სახელმწიფო შეზღუდვების შემოღებისთანავე გამოსცა რამდენიმე ბრძანება, წესი და რეკომენდაცია სახელმწიფო არქივების მუშაობის დასარეგულირებლად.

ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი¹², რომელიც „ლოქდაუნის“ დასაწყისში გამოიცა, მოიცავდა რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა წარმოებულყო საინფორმაციო კამპანიები, შეეჩერებინათ ავადმყოფობის გავრცელება თანამშრომლებს შორის და მომხდარიყო მკვლევართა დარბაზების ვენტილაცია და ღებინა. შემდეგი ბრძანებით¹³, რომელიც რამდენიმე დღეში გამოიცა, განისაზღვრა უკრაინის სახელმწიფო არქივის თანამშრომლებისთვის დისტანციური სამუშაო რეჟიმი.

მოგვიანებით, 2020 წლის 1 ივლისს, უკრაინის საარქივო დაწესებულებებისა და უკრაინელი არქივისტების სამეცნიერო ორგანიზაციების ნაწილმა შეიმუშავა მეთოდური რეკომენდაციები¹⁴ და ინსტრუქციები მომხმარებლებისთვის¹⁵ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იყოს დაცული არქივის თანამშრომლებისა და ვიზიტორების ჯანმრთელობა პანდემიის პირობებში. ეს დოკუმენტები შეიცავს დეტალურ რეკომენდაციებს ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის და მასში დიდი ადგილი უკავია ელექტრონული სერვისების განვითარების პერსპექტივებს.

ყოველთვისად და ხანდახან კვირამი ერთხელაც, უკრაინის სახელმწიფო საარქივო სამმართველო ამზადებს სრულყოფილ მიმოხილვას უკრაინის სხვადასხვა არქივის მუშაობის შესახებ: აღნიშნული სამუშაო მოიცავს უკრაინის სხვადასხვა არქივის დოკუმენტების ელექტრონული კოლექციების განახლებას¹⁶; საარქივო აღწერების ონლაინ გამოქვეყნების დინამიკას; ელექტრონული რესურსების/ მონაცემთა ბაზების დამატებას¹⁷; მეტრიკული წიგნების¹⁸ და ანბანური საძიებლების¹⁹ გამოქვეყნებას ონლაინ; ასევე სხვადასხვა ციფრული პროექტების წამოწყებას (მაგალითისთვის: მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა კორექსონდენციის გაციფრულებას, რომელიც ერთ-ერთმა რეგიონულმა არქივმა მოამზადა²⁰). ასეთი მიმოხილვის ელექტრონული ბმულები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე და არქივების სოციალური მედიის ოფიციალურ გვერდებზე: აგვისტო 2020²¹; ივლისი 2020²²; ივნისი 2020²³; მაისი 2020²⁴; აპრილი 2020²⁵.

უკრაინულმა საარქივო საზოგადოებამ დაიწყო კამპანია, რათა საარქივო წესით შეენახათ COVID-19-თან დაკავშირებით 2019-2020 წლებში შექმნილი, თანამედროვე დოკუმენტები. უკრაინის ეროვნულმა არქივმა ითავა პანდემიასთან უკრაინის ბრძოლის ამსახველი დოკუმენტების მოგროვება, შენახვა და კოლექციონირება. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით²⁶,

¹² https://srpi.archives.gov.ua/tmp/1313_1.pdf

¹³ https://srpi.archives.gov.ua/tmp/1312_1.pdf

¹⁴ <https://bit.ly/3ow5FhO>

¹⁵ <https://bit.ly/3dY0Lp3>

¹⁶ https://cdiak.archives.gov.ua/full_files/

¹⁷ <http://cdago.org.ua/?fbclid=IwAR3s7dEAbBBpk-vpYS8jcPayOlr1pdosqa543J9SrFndC-6Hu50bLORNv0A>

¹⁸ <https://dp.archives.gov.ua/index.php/digitized-documents/metryka/705-synagoga>

¹⁹ <http://mk.archives.gov.ua/tsifrovyi-arhiv-metrychni-knygy/1056-nda-alfabet.html>

²⁰ <https://bit.ly/2J2Sjt2>

²¹ <https://bit.ly/37JHW7R>

²² <https://www.facebook.com/archives.ua/photos/a.414617238896348/1191290421229022/?type=3&theater>

²³ <https://www.facebook.com/archives.ua/photos/a.414617238896348/1174691252888939/?type=3&theater>

²⁴ <https://www.facebook.com/archives.ua/photos/a.414617238896348/1145103519181046/?type=3&theater>

²⁵ <https://www.facebook.com/archives.ua/photos/a.414617238896348/1135154003509331/?type=3&theater>

²⁶ <https://bit.ly/3mnEHXK>

სამომავლოდ აღნიშნული კოლექცია გახდება მნიშვნელოვანი წყარო არა მხოლოდ მკვლევრებისთვის, არამედ მსგავსი კრიზისების დაძლევისთვისაც.

უმთავრესი გადაწყვეტილება, რომელიც უკრაინის სახელმწიფო საარქივო სამმართველომ მიიღო პანდემიის პირობებში, იყო მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა. „ლოქდაუნის“ დაწყებისთანავე, სახელმწიფო არქივებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყეს მათთან არსებულ ციფრულ კოლექციებზე წვდომის გახსნა, მნიშვნელოვანი დოკუმენტების ონლაინ გამოქვეყნება, ონლაინ გამოფენების გამართვა და ა.შ. ბევრი საარქივო სერვისი პანდემიამდე ისედაც იყო ონლაინ ხელმისაწვდომი, მაგალითად, ცნობების შესახებ განცხადებების გაგზავნა და პასუხის მიღება.

მთავარი შეზღუდვა, რაც უკრაინაში დაწესდა იყო ვიზიტების შეზღუდვა მკვლევართა დარბაზებში ლოქდაუნის აქტიური ფაზის დროს, სამედიცინო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე. ივლისში არქივებმა დაიწყეს თავიანთი მკვლევართა დარბაზების გახსნა და შეიმუშავეს პრევენციული ზომები (ვიზიტორთა ლიმიტირებული რაოდენობა, პერმანენტული დეზინფექცია, ვენტილაცია, პირბადეების გამოყენების ვალდებულება და ა.შ.). გამოყენების შემდეგ, ყველა დოკუმენტი გადის „საკარანტინე პერიოდს“.

უკრაინის სახელმწიფო საარქივო სამმართველო გამოვიდა ინიციატივით - შეექმნათ საარქივო სფეროს განვითარების ახალი სტრატეგია, რომელიც უნდა მოიცავდეს მსგავს სიტუაციებში მოქმედების დეტალურ აღწერას და ინსტრუქციას, ასევე საარქივო მომსახურების ოპტიმიზაციას ინტერნეტის მეშვეობით.

ჩვენმა მკვლევარმა, ანა ოლიინიკმა, გარდა საარქივო სფეროს საერთო სიტუაციისა, ასევე შეაფასა ერთი კონკრეტული - უკრაინის უშიშროების სამსახურის უწყებრივი არქივიც.

უკრაინის უშიშროების სამსახურის უწყებრივ არქივში მკვლევართა დარბაზები დაიხურა, თუმცა სკანირებული მასალა დაინტერესებულ პირებს მიეწოდებოდა ონლაინ რეჟიმში, სრულიად უფასოდ. პანდემიის დროს, უკრაინის უშიშროების უწყებრივმა არქივმა პროექტიულად გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი დოკუმენტები: “დიდი ტერორის შესახებ ინფორმაციის დაფარვა”²⁷, “კიევის ოპერატიული ჯგუფის პროტოკოლი ჩერნობილის კატასტროფის შედეგების აღმოფხვრის თაობაზე”²⁸.

პანდემიასთან დაკავშირებით საარქივო კანონმდებლობაში ცვლილებები, საარქივო და საქმისწარმოების წესის ცვლილება, თანამშრომელთა შემცირება უკრაინის უშიშროების უწყებრივ არქივში არ მომხდარა, გარდა შიდა რეგულაციებით პანდემიასთან დაკავშირებული ზოგადი წესების შემოდებისა (პირბადის ტარება, სოციალური დისტანცია და ა.შ.). შიდა რეგულაციით ასევე დადგინდა, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ, თითოეული მკვლევრისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს მინიმუმ 5 კვადრატული მეტრი ფართობი, ხოლო გამოყენებული საქმეები 2-3 დღით უნდა გადავიდეს კარანტინში.

უკრაინის უშიშროების სამსახურის უწყებრივი არქივის თანამშრომლების დაახლოებით 60% გადავიდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე როტაციის წესით. მათი ძირითადი მოვალეობები იყო: სამეცნიერო და ტექნიკური დამუშავება, სამეცნიერო და ტექნიკურ პროექტებზე მუშაობა, ციფრული ასლების დამზადება, მათი სტრუქტურირება და ხარისხის კონტროლი, სხვადასხვა მასალის გაციფრულება და დაბეჭდვა, რელაქტირება და გადამოწმება.

²⁷ <https://bit.ly/39n15hh>

²⁸ <https://bit.ly/2Wgdjjd>

უკრაინის უშიშროების სამსახურის უწყებრივი არქივი მოთხოვნილ ინფორმაციას ძირითადად აგზავნიდა ელექტრონული ფოსტით, ხოლო დიდი ფაილების შემთხვევაში - პროგრამებით Google Drive, Webtransfer, Mega და ა.შ. ერთმანეთთან ისევე, როგორც მოქალაქეებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენებოდა სხვადასხვა ტიპის „მესენჯერ სერვისები“, ყველაზე ხშირად - Zoom Meetings.

პანდემიის პერიოდში უკრაინის უშიშროების სამსახურის უწყებრივ არქივში დაიწყო მკვლევართა დარბაზის მოდერნიზაცია და ახალი ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა. მკვლევართა დარბაზში მოდერნიზაციის შედეგად გაჩნდა უფრო მეტი ადგილი და სივრცე აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით.

უნგრეთი:

შემფასებელი: მანდორ ხორვატი - უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის თანამედროვე ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. საერთაშორისო კვლევითი პროექტის COURAGE – „კულტურული წინააღმდეგობა - განსხვავებული კულტურული მემკვიდრეობის გააზრება ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში“ (Cultural Opposition – Understanding the Cultural Heritage of Dissent in the Former Socialist Countries) უფროსი კოორდინატორი; ჟურნალის - Hungarian Historical Review დამფუძნებელი რედაქტორი.

უნგრეთში სახელმწიფო არქივები (მათ შორის ცენტრალური და რეგიონული არქივები) 2020 წლის 16 მარტიდან - 2020 წლის 20 ივნისამდე სრულად დაიხურა მკვლევრებისთვის. ამ დროის განმავლობაში შეზღუდულად ემსახურებოდნენ მკვლევარებს მხოლოდ ინტერნეტით ან ტელეფონით. 2020 წლის 20 ივნისის შემდეგ, მკვლევართა დარბაზი გაიხსნა, თუმცა მხოლოდ სოციალური დისტანცირების წესების დაცვით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მკვლევარებმა უნდა დაიცვან ერთმანეთისგან მინიმუმ 1,5 მ. მანძილი და ეკეთოთ პირბადეები. ზოგიერთ მცირე ზომის მკვლევართა დარბაზში დაშვებული იყო მკვლევრების შეზღუდული რაოდენობა. სოციალური დისტანცირების წესები ასევე მოქმედებდა პანდემიის მეორე ტალღის დაწყების დროს, სექტემბერში (როდესაც COVID-19-ით ინფიცირებისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე საყოველთაო ლოქდაუნის დროს), მაგრამ სხვა შეზღუდვები აღარ შემოღებულა. 2020 წლის 20 ივნისიდან, არქივისტების მხოლოდ ერთ პროცენტზე ნაკლები მუშაობდა დისტანციურად (მაგალითად ისინი, ვისაც დაუდასტურდა COVID-19-ით დაავადებულთან კონტაქტი).

ცვლილებები შეეხო უნგრეთის არქივების მკვლევართა დარბაზებში მუშაობის წესებს, თუმცა საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტს არ მიუღია. გარდა ამისა, 2020 წელს დასაქმებულთა რაოდენობა არ შემცირებულა, მაგრამ ძირითადად ზედნადები ბიუჯეტიდან შეამცირეს 100 მილიონი ფორინტის (დაახლოებით 275 ათასი ევრო) ხარჯი მთლიანად ეროვნულ არქივში (რეგიონული არქივების ჩათვლით).

უნგრეთის არქივებში დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა თანამშრომლების დაახლოებით 60% ბუდაპეშტში, ხოლო 30-40% რეგიონებში. თანამშრომლები დისტანციურ რეჟიმში ძირითადად მუშაობდნენ ბაზების და ონლაინ-პლატფორმების განვითარებაზე.

უნგრეთის არქივების თანამშრომლები კომუნიკაციისთვის იყენებდნენ პროგრამებს Webex და Zoom. მათ მიერ შესრულებული სამუშაოს გასაკონტროლებლად კონკრეტული პროგრამები არქივს არ გამოუყენებია. ამასთანავე, თანამშრომლებს ჰქონდათ VPN ფუნქციის საშუალებით არქივის ბაზებთან წვდომა.

ყაზახეთი:

შემფასებელი: ალექსანდრა ცაი - დამოუკიდებელი მკვლევარი და ხელოვნების კურატორი ქალაქ ალმა-ათაში. მესსიერების კვლევების სპეციალისტი.

ყაზახეთის არქივები სრულად იყო დაკეტილი მკვლევრებისთვის 2020 წლის 16 მარტიდან.

პანდემიასთან დაკავშირებით საარქივო კანონმდებლობაში ცვლილებები, საარქივო და საქმისწარმოების წესის ცვლილება, თანამშრომელთა შემცირება ყაზახეთის ეროვნულ არქივში არ მომხდარა, გარდა პანდემიასთან დაკავშირებული ზოგადი წესების შემოღებისა (პირბადის ტარება, სოციალური დისტანცია და ა.შ.)

ზოგიერთი არქივი მკვლევრებს სთავაზობდა ონლაინ სერვისებს (ფოტოდოკუმენტებისა და აუდიოჩანაწერების არქივი), თუმცა ყაზახეთის არქივების უმრავლესობაში მსგავსი მომსახურება ხელმისაწვდომი არ იყო.

დასკვნა

IDFI-და მისი პარტნიორების მიერ COVID-19-ის პანდემიის დროს 10 სხვადასხვა ქვეყნის არქივებში განხორციელებული ცვლილებების მონიტორინგისა და შეფასების შედეგად რამდენიმე ტენდენცია გამოიკვეთა: უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ განხილულ არც ერთ ქვეყანაში პანდემიასთან დაკავშირებით საარქივო კანონმდებლობაში ცვლილებები ან საარქივო და საქმისწარმოების წესის ცვლილება არ მომხდარა. თუმცა, ამავდროულად, ათივე ქვეყნის არქივებში, შიდა რეგულაციებით, მიიღეს პანდემიასთან დაკავშირებული ზოგადი წესები, რაც ძირითადად მოიცავდა ისეთ პრინციპებს, როგორცაა პირბადის ტარების ვალდებულება დახურულ სივრცეში, სოციალური დისტანციის დაცვა, სანიტარიისა და ჰიგიენის ნორმები და ა.შ. ამასთანავე, არც ერთ ქვეყანაში, პანდემიის გამო, არ გაუთავისუფლებიათ არქივის თანამშრომლები მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში (მაგალითად, უნგრეთი) არქივების ბიუჯეტი შემცირდა.

კვლევამ გამოავლინა საუკეთესო პრაქტიკის რამდენიმე მაგალითი საგანგებო მდგომარეობაში არქივების ეფექტური მუშაობის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ IDFI-ის არქივების ღიაობის რეიტინგში ბელარუსის არქივები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან დანარჩენ ქვეყნებს, პანდემიის პირობებში ეფექტურად იმუშავა ბელარუსის ეროვნულმა არქივმა, რომელმაც პანდემიის დაწყებიდან მალევე დანერგა სიახლე - საარქივო დოკუმენტების სკანირებული ასლების შეკვეთა და მიღება ელექტრონული ფოსტით. როგორც IDFI-ის პარტნიორი მკვლევარი ბელარუსში აღნიშნავს, ყველა ამ სახის შეკვეთა დადგენილ ვადებში შესრულდა და შესაბამისი საფასურის გადახდის შემდეგ ჩვეულებრივი ან ელექტრონული ფოსტით გაეგზავნათ დამკვეთებს, გამონაკლისს კი მხოლოდ გენეალოგიური ხასიათის დოკუმენტები წარმოადგენდა, რომელთა მოძიებაც განმცხადებელთა დიდი რაოდენობისა და სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე შეწყდა.

საუკეთესო პრაქტიკებს შორის უნდა აღინიშნოს უკრაინის გამოცდილება და უკრაინის სახელმწიფო საარქივო სამმართველოს მიერ განხორციელებული დროული და ეფექტური ღონისძიებები. გარდა ზოგადი უსაფრთხოების წესებისა თანამშრომლებისა და ვიზიტორებისთვის, სამმართველო

ყოველთვიურად და რიგ შემთხვევებში ყოველკვირეულად ამზადებს სრულყოფილ მიმოხილვას უკრაინის სხვადასხვა არქივის მუშაობის შესახებ. ეს მოიცავს დოკუმენტების ელექტრონული კოლექციების განახლებას უკრაინის სხვადასხვა არქივში, საარქივო აღწერების ონლაინ გამოქვეყნების დინამიკას, ელექტრონული რესურსების/ მონაცემთა ბაზების დამატებას, მეტრიკული წიგნების და ანბანური საძიებლების გამოქვეყნებას ონლაინ, ასევე სხვადასხვა კოლექციის გაციფრულებას. ასეთი მიმოხილვის ელექტრონული ბმულები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე და არქივების სოციალური მედიით. რაც შეეხება საარქივო სერვისებს, უკრაინული არქივები ამ მხრივ პანდემიამდეც მოწინავე აღვილს იკავებდნენ IDFI-ის არქივების ღიაობის რეიტინგში, რადგან ეფექტურად ემსახურებოდნენ მკვლევარებს ონლაინ რეჟიმშიც, პანდემიის პირობებში კი მომსახურება კიდევ უფრო გააუმჯობესეს. ამის მაგალითია უკრაინის უშიშროების სამსახურის უწყებრივი არქივი, რომელმაც მკვლევართა დარბაზების დახურვის შემდეგ, დაინტერესებულ პირებს სკანირებულ დოკუმენტებს ონლაინ რეჟიმში აწვდიდა სრულიად უფასოდ. ასევე, პანდემიის დროს, უკრაინის უშიშროების სამსახურის არქივმა პროაქტიულად გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი საარქივო დოკუმენტები. პარალელურად, არქივში დაიწყო მკვლევართა დარბაზის მოდერნიზაცია და ახალი ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა, რაც პანდემიის პერიოდის, როდესაც მკვლევრებისგან დარბაზები დაცლილი იყო, ეფექტურად გამოყენების საუკეთესო მაგალითია.

უკრაინაში, ასევე, საყურადღებო იყო უკრაინული საარქივო საზოგადოების კამპანია, რომელიც მოიცავდა COVID-19-თან დაკავშირებული თანამედროვე დოკუმენტების ციფრული არქივის შექმნას და შესაბამისი წესით შენახვას. ეროვნულმა არქივმა ითავა პანდემიასთან უკრაინის სახელმწიფოს ბრძოლის ამსახველი დოკუმენტების მოგროვება, შენახვა და კოლექციონირება, რათა მომავალში COVID-19-ის პანდემიის პერიოდის კვლევა გამარტივებულიყო მკვლევართათვის. ეს ცალსახად შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო პრაქტიკად, რომელიც უნდა გაიზიარონ არქივებმა მსოფლიოს მასშტაბით, რათა დროულად შეიქმნას სისტემატიზირებული საარქივო კოლექციები COVID-19-ის პანდემიის შესახებ მომავალი თაობებისთვის.

ასევე, უკრაინის სახელმწიფო საარქივო სამმართველომ ეფექტურად იმუშავა იმ კუთხითაც, რომ მან დროულად მოახდინა საარქივო სფეროს განვითარების ახალი სტრატეგიის ინიცირება, რომელიც უნდა მოიცავდეს მსგავს სიტუაციებში მოქმედების დეტალურ აღწერას და ინსტრუქციას, ასევე საარქივო მომსახურების ოპტიმიზაციას ინტერნეტის მეშვეობით. **აღსანიშნავია, რომ სამომავლო სტრატეგიაზე მუშაობა კვლევაში განხილული ქვეყნებიდან მხოლოდ უკრაინამ დაიწყო.** ასევე, მართალია ლიეტუვას არქივს ჯერ არ აქვს შემუშავებული სამომავლოდ ანალოგიურ ვითარებაში მოქმედების გრძელვადიანი გეგმა, თუმცა, როგორც IDFI-ის პარტნიორი მკვლევარი ლიეტუვაში აღნიშნავს, ქვეყნის მთავარი არქივისტის უწყება პასუხისმგებელია გეგმის შემუშავებაზე, რომელიც თანხვედრაში მოვა სახელმწიფო რეგულაციებთან. ამგვარი მიდგომა გარანტია არქივებისა და მკვლევრებისთვის, რომ მომავალში, COVID-19-ის მსგავს კრიტიკულ სიტუაციებში, მათი სამუშაო იქნება დაცული და უზრუნველყოფილი.

უკრაინა	●	<ul style="list-style-type: none"> ● გეგმა შეიმუშავეს ● გეგმაზე მუშაობა დაიწყო
ლიეტუვა	●	
ბელარუსი	●	
საქართველო	●	
სომხეთი	●	

აზერბაიჯანი	-	<ul style="list-style-type: none"> • გეგმა არ შემუშავებულია და არც მუშაობა დაწყებულია ამ მიმართულებით - ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი
ლატვია	-	
რუმინეთი	-	
უნგრეთი	-	
ყაზახეთი	-	

ქვეყნები, რომელთა არქივებმაც სამომავლოდ, საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა შეიმუშავეს და მასზე მუშაობა დაიწყო

აქვე, საუკეთესო პრაქტიკებს შორის უნდა აღინიშნოს ლიეტუვის და საქართველოს ეროვნული არქივების მზარდი აქტიურობა სოციალურ მედიაში. მათ გაზარდეს ვირტუალური გამოფენების რაოდენობა და რეგულარულად აქვეყნებდნენ პოსტებს სოციალურ ქსელებში საინტერესო დოკუმენტებითა და სტატიებით, განსაკუთრებით პანდემიასთან დაკავშირებული ისტორიების შესახებ, რაც შეიძლება განვიხილოთ კარგ სტრატეგიად საზოგადოებაში სახელმწიფო არქივებისა და საარქივო საქმიანობის პოპულარიზაციისთვის.

ყველაზე ცუდ პრაქტიკებად შეიძლება განვიხილოთ ის არქივები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს მოქალაქეებისთვის დისტანციურ რეჟიმში მომსახურება. ამ მხრივ, ჩვენი მკვლევრების შევსებული კითხვარების მიხედვით, შეფასებულ 10 ქვეყანას შორის, ყველაზე ცუდი მდგომარეობა იყო ყაზახეთის არქივებში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ რიგი არქივები დისტანციურ რეჟიმში ამყარებდნენ კომუნიკაციას მოქალაქეებთან, გაუმართავი ვებგვერდები და გაციფრებული დოკუმენტების ნაკლებობა მაინც ქმნიდა პრობლემებს, რის გამოც არქივების ონლაინ მომსახურება ცნობების მოთხოვნა-მიღებით შემოიფარგლებოდა, რისი მაგალითიცაა აზერბაიჯანი. ამიტომ, რეკომენდაციამ, რომელსაც IDFI წლების განმავლობაში გასცემდა საარქივო დოკუმენტების დროული გაციფრულების თაობაზე, პანდემიის პირობებში დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო არქივებმა პანდემიისა და მსგავსი ხელისშემშლელი პირობების დროს არქივების ღიაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის გადადგან შემდეგი ნაბიჯები:

- შემუშავდეს სერვისების და დოკუმენტების ელექტრონულად მიწოდების სტრატეგია და დაიწყოს პროაქტიული მუშაობა გაციფრებული საარქივო მასალების რაოდენობის გასაზრდელად;
- საგანგებო მდგომარეობის დროს არქივებმა უზრუნველყონ არქივის საქმიანობისა და განახლებული ელექტრონული კოლექციების, საარქივო აღწერების, ელექტრონული რესურსების/მონაცემთა ბაზებისა და ანბანური საძიებლების შესახებ ინფორმაციის რეგულარულად გამოქვეყნება ვებგვერდზე;
- საგანგებო მდგომარეობის დროს არქივები უნდა გააქტიურდნენ სოციალურ ქსელებში და საარქივო საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით, პროაქტიულად გამოაქვეყნონ საინტერესო დოკუმენტები, გამართონ ვირტუალური გამოფენები და დაგეგმონ სხვა მსგავსი აქტივობები;
- არქივებმა და საარქივო საზოგადოებებმა დროულად დაიწყონ მუშაობა COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და მასალების შეგროვებასა და დაარქივებაზე;

- არქივებმა უნდა შეიმუშავონ საარქივო სფეროს განვითარების ახალი სტრატეგია, რაც აუცილებელია საარქივო დაწესებულებების მუშაობისა და სწორი ფუნქციონირებისთვის საგანგებო რეჟიმში;
- არქივებმა თითოეული თანამშრომლისთვის უნდა გაწერონ ახალი სამუშაო აღწერილობები და შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები. ეს გრძელვადიან პერსპექტივაში არქივებს თავიდან აარიდებს კადრების მასობრივ შემცირებებს, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ელექტრონული სერვისების დანერგვასთან და განვითარებასთან ერთად, ეს პროცესი გარკვეულწილად გარდაუვალია და შესაძლებელია არქივებმა ფინანსური რესურსების დაზოგვის მიზნით ნაკლები ადამიანური რესურსით გააგრძელონ მუშაობა.

დანართები

დანართი 1: კითხვარი: სახელმწიფო არქივების აქტივობები COVID-19-ის პანდემიისა და საყოველთაო კარანტინის დროს

1. რაიმე ტიპის შეზღუდვა დაწესდა საარქივო მასალებზე კორონავირუსის პანდემიის დროს?
 - a. კი, არქივები სრულად დაიხურა საზოგადოებისთვის
 - b. მკვლევართა დარბაზი დაიკეტა, სხვა სერვისები ხელმისაწვდომი იყო (მაგალითად, სერთიფიკატების გაცემა)
 - c. არა, არანაირი შეზღუდვა არ დაწესებულა
 - d. სხვა: (გთხოვთ, ახსნათ)
2. როდის დაიწყო სახელმწიფო არქივებმა საარქივო მასალებზე წვდომის შეზღუდვა პანდემიის დროს (თუ ასეთი შეზღუდვები არსებობდა)?
3. როდის მოხსნეს არქივებმა შეზღუდვები (თუ ასეთი შეზღუდვები არსებობდა)?
4. შევიდა თუ არა საარქივო კანონდებლობაში რაიმე ტიპის ცვლილება კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით? თუ კი, გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ.
5. საარქივო საქმიანობასთან დაკავშირებით რაიმე ახალი რეგულაცია იქნა თუ არა მიღებული კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით? თუ კი, გთხოვთ, აღწეროთ.
6. ასეთის არსებობის შემთხვევაში, როგორ შეამცირეს არქივებმა თანამშრომელთა რაოდენობა და ხარჯები კორონავირუსის პანდემიის დროს? რა დანახარჯებთან იყო ეს დაკავშირებული?

7. საარქივო სერვისები ხელმისაწვდომი იყო კორონავირუსის პანდემიის დროს?

კი
არა

გთხოვთ, ახსნათ დეტალურად (მაგალითად, ცნობების გამოთხოვა და მიღება; აღწერები (თუ უკვე ატვირთული არ იყო); გამოთხოვილი საარქივო დოკუმენტებისა და მასალების მიღება; გენეალოგიური კვლევები და ა.შ.):

8. შეიმუშავეს თუ არა არქივებმა მომავალში მსგავს კრიზისულ სიტუაციებთან გამკლავებისთვის სამოქმედო გეგმა? თუ კი, გთხოვთ, აღწერეთ.

9. არქივისტების რა პროცენტი გადაერთო დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე პანდემიის დროს?

10. რა იყო არქივისტების მთავარი მოვალეობები დისტანციურად მუშაობის დროს?

11. რომელი ონლაინ პლატფორმები გამოიყენებოდა დისტანციური რეჟიმის დროს კომუნიკაციისთვის (მაგალითად, ელექტრონული ფოსტა, Zoom, Google Meet, Microsoft Teams, ა.შ.):

a. თანამშრომლებს შორის:

b. ვიზიტორებთან:

12. რა ტიპის პროგრამული უზრუნველყოფა ჰქონდათ არქივების თანამშრომლებს დისტანციურად მუშაობის დროს (თუ ხელმისაწვდომია ეს ინფორმაცია)?

დანართი 2: შემფასებლების საკონტაქტო მონაცემები

ქვეყანა	შემფასებელი	ელ-ფოსტა
აზერბაიჯანი	ელდარ ზეინალოვი	eldar.hrca@gmail.com
ბელარუსი	დომიტრი დროზდი	dmitriy_drozd@hotmail.com
ლატვია	ედგარს ენგიზერსი	edgars.engizers@gmail.com
ლიეტუვა	ვიტაუტას სტარიკოვიჩუსი	vytautas.starikovicius@yahoo.com

რუმინეთი	ალექსანდრუ მურად მირონოვი	al.mironov@gmail.com
საქართველო	ანტონ ვაჭარაძე	a.vacharadze@idfi.ge
სომხეთი	ჰრანუშ ხარატიანი	hkharatyan@gmail.com
უკრაინა	ანნა ოლიინიკი	anna.oliinik.ua@gmail.com
უნგრეთი	შანდორ ხორვატი	sandor.horvath34@gmail.com
ყაზახეთი	ალექსანდრა ცაი	alexandra.tsay@gmail.com

2020 6300